4260/4-15/19 2 10042019

4260/4-15/19
10-04-2019

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის

მინისტრს ბატონ დავით სერგეენკოს

ბატონო დავით,

საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, მუშაობს „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების გავლენის შეფასებაზე (RIA). ამ ეტაპზე განისაზღვრა პრობლემის არსი, ჩამოყალიბდა რეფორმის მიზნები და შესაფასებელი ალტერნატივები. რეფორმის ძირითადი მიზანია, **გაუმჯობესდეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის მდგომარეობა არაგადამდები დაავადებების შემცირებით მოსახლეობაში.** ამ მიზნის მისაღწევად ჩამოყალიბდა სამი ქვემიზანი. კერძოდ, 1. მოსახლეობის ფიზიკურ აქტივობის და მასობრივ სპორტში ჩართულობის ზრდა; 2. მოსახლეობის ფიზიკური აქტივობისთვის ხელშემწყობი გარემოს უზრუნველყოფა; 3. არაგადამდები დაავადებების შემცირება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფში.

მიმდინარე წლის 15 აპრილს 11:00 საათზე საქართველოს პარლამენტის სასახლეში (რუსთაველის გამზ. №8, კორპუსი A, ოთახი 307) გაიმართება სამუშაო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ პარლამენტის წევრები, აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობების, მასობრივი სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენლები და ექსპერტები. შეხვედრის მიზანია, დაინტერესებულ პირებისათვის რეგულირების გავლენის შეფასებისას (RIA) გამოვლენილი პრობლემის მიზნების და ალტერნატივების გაცნობა და მათგან მოსაზრებების მოსმენა.

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების გავლენის შეფასება (RIA) ტარდება სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის ინიციატივით, USAID-ის პროექტის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა“ (GGI) ფინანსური მხარდაჭერით. გთხოვთ, მიიღოთ მონაწილეობა აღნიშნულ სამუშაო შეხვედრაში.

შეხვედრის დღის წესრიგი თანდართულია.

დანართი: 1 ფურცელი;

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
მიხეილ ყაველაშვილი